

# დროება

ბამონის უძველესი ორბაბათს ბარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე, რვე, ცხუ, ტან, ცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებშიც შედ. თუ საჭიროება მოითხოვს, რვეაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოვლენილს წერილებს დაუბეჭდველ წერილებს რვეაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს. ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

„დროების“ რვეაქცია — სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან. ხელის მოწერა მიიღება თბილისში, რვეაქციაშივე; ქუთაისში, ქილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: ВЪ ТИФЛИСЬ, ВЪ РЕДАКЦІЮ „ДРОЕБА“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით — 8 მ.; 9 თვით — 7 მ. 50 კ.; 8 თვით — 7 მ.; 7 თვით — 8 მ. 6 თვით — 5 მ.; 5 თვით — 4 მ. 50 კ.; 4 თვით — 6 მ. 3 თვ. — 3 მ.; 2 თვ. — 2 მ.; 1 თ. — 1 მ.

**ამ ნომერში ათი გვერდი**

მიიღება ხელის-მოწერა კაცთ

## „დროებაზე“

ნახევარის წლით

ივლისის 1-დამ წლის დამლევაამდე

ფასი ხუთი მანათი

სოფლის მასწავლებელთათვის

ოთხი მანათი.

არწრუნისეული თეატრი.

კვირას, ივლისის 15-ს

ქართული დრამატული დასისაგან

წარმოდგენილი იქნება:

### დამნაშაპის ოჯახი

ღრამა 4 მოქმედებად გად. ნ. მესხისაგან.

დასაწყისი 8 1/2 საათზედ.

### შინაური ქრონიკა.

— ოდესაში გამოსულა ერთი წიგნი ფრანკო-სულს ენაზედ, ბ. ა. დ. ლავი-ლოვისა, რომელიც დაწერილებით არის აღწერილი, რა სპილენძის მად-ნები არსებობენ ამიერ-ქავკასიაში, რო-გორ მოქმედობენ და რაოდენს სპი-ლენძს აწარმოებს თითოეული მათ-განი.

ჩვენ მოგვყავს მოკლედ შინაარსი ამ წიგნისა «მოსკოვის უწყებთა» სიტყვით და ვგონებთ, რომ მკითხვე-ლისთვის ღირსად საინტერესო უნდა იყოს ამ გვარი ცნობანი.

წიგნის ავტორის აზრით, სულ ხუთ ჯგუფად იყოფება ამიერ-ქავკასიის სპი-ლენძის მადნები: 1) შორიხის მად-ნი ბათუმის მაზრაში; 2) ზანგებულისა სპარსეთის სამხედროთა; 3) ალა-ვერდისა; 4) მლისავეტოპოლის მაზ-რაში, და 5) ალაზან ვალმა, ძახეთში. ამათ გარდა, ამიერ-ქავკასიაში ბევრ-გან მოიძებნება ცოტად თუ ბევრად შესანიშნავი სპილენძის მადნები და აგრეთვე სხვა-და-სხვა ლითონის ძარღე-ნი, (მეტადრე ტყვიისა და ვერცხ-ლისა).

ბათუმის მაზრაში სპილენძის საო-ვარი მადანი მდ. შორიხის ხეობაზე არსებობს. შორიხის შესანიშნავი ძარღე-ნი არიან: ხოდ-ელაია, (შორიხის ტო-ტის ხოდლარის ნაპირებზე), გუმიშ-ხანა, ართვინს ახლო და მდ. მურ-ლულის აუღლებს. ძველა ეს მადნები მმართველობას ეკუთვნის და სხვა-და-სხვა კერძო პირთ აქვს მიცემული სა-სარგებლოდ იმ პირობით, რომ სპი-ლენძი სამზღვარ-გარედ კი არ გაიტა-ნონ, აქვე შეიმუშავონ. თუ არ ეს

პირობა, მათ შეუძლიანთ შეუმუშავე-ბელი სპილენძი იქვე ახლო სამზღვარ-ზე გაიტანონ და მარსელში გაჰყიდონ. ბათუმის მაზრაში მადნები საქმოდ მდიდარნი არიან, მაგრამ მათი წარ-მოება შეფერხებით მიდის. ამის მიზე-ზი ის არის, რომ მდინარესთან ახლო კი არა მდებარებენ იგინი, არამედ შო-როხზე კარგა მოშორებით, ასე რომ გადაზიდვა მთიან და კლდიან ალაგებ-ზე სპილენძისა ძალიან ძვირად ჯდება. ამას გარდა, თვით მდ. შორიხი არ ვარგა ამ საგნისათვის. ართვინი, რომელიც 60 ვერსზეა შორიხის შე-სართავიდან შავის ზღვის დონეზე 585 მ. მაღლა სდევს. აქედამ ცხადია, რა სიჩქარით უნდა მიმდინარეობდეს ეს წყალი. წვიმებსა და თოვლის დნო-ბის დროს ხომ იგი თერგს დამსგავ-სება ხოლმე. მენავეები ქვედამ ზევით სამს დღეს უნდებიან, ხოლო ზემო-დამ ქვეით 5 საათს. მერე იმ ქვეყ-ნაში გზებიც არ არის და ბილიკებზე უნდა გადაიტანონ საქონელი ქარავანის შემწეობით. ამისა გამო განზრახვა აქვთ გზა გაიყვანონ ბათუმისა, არტა-ანისა და ქარსის შუა და ერთი ტო-ტით ართვინსაც შეუერთონ. ეს გზა მეტად საჭიროა უფრო სპილენძის წარმოების გასაძლიერებლად.

ზანგებულის მადნები 491 ვერსზეა თბილისიდან, თუ ბაქო-თბილისის რკინის გზის გერანის სტანციიდან წა-ვალთ. მზა ცუდია სტანციიდან და ამისათვის იქ სპილენძის შემუშავება ძალიან ცუდად სწარმოებს. სულ წე-ლიწადში 20,000 ფუთი წმინდა სპი-ლენძი გამოჰყავთ და ადგილობრივ ფუთს 10 მ. ჰყიდიან. ასი ფუთი ძარღვი 15 ფუთს წმინდა სპილენძს იძლევა. მრთი ფუთის ძარღვის ამო-ღება მდინადამ 40 კაპ. ჯდება, გა-მოდნობა 45 კაპ., მუშა სპარსელები ჰლირან დღეში 30-40 კაპ. აქ წარ-მოებული სპილენძი სულ სპარსეთში მიდის.

ალავერდის ჯგუფი ჯერ ბერძნების ხელში იყო, ხოლო ეხლა მატოვებუ-ლია და გაობრებული, თუმცა კი თბილისიდან სულ 60 ვერსზეა. ამ ჯგუფსვე ეკუთვნის თითქმის დომბ-ლულის მადნებიც, რომელნიც ამას წინაღ ბ. დიუსელდორფელმა მეღმან-მა იყიდა; 1.200 დესიატინაში მან მისცა 450.000 მარკა, ანუ (თითო მარკა 52 კაპ.) 193 მან. 33 კაპ. თი-თო დესიატინაში.

მლისავეტოპოლის მაზრაში ორი ამიერ-ქავკასიაში ყველაზე დიდი სპი-ლენძის სადნობი ქარხანაა, რომელიც ეკუთვნის ძმებს სიმენსებს. ამათ იყი-დეს ეს ქარხანები ბერძნებისაგან 200,000 მანათად. მადნები მმართვე-

ლობას ეკუთვნიან. ძმებმა სიმენსებმა პირ-შეკრულობის ძალით 60,000 ფუთზე ნაკლები სპილენძი არ უნდა შეიმუშავონ წელიწადში და თითო ფუთ-ში ბაქი 75 კაპ. უნდა გადაიხადონ, ესე იგი არა ნაკლებ 45,000 მან. ძარღვი სხვა-და-სხვა ღირსებისაა. ძარღ ძარღეში 15-20% ურევია წმინდა სპილენძი, ხოლო ცუდში — 2-5%. 1871-1881 წწ. განმავლობაში აქ შე-იმუშავეს 5,435,000 წმინდა სპილენ-ძი. ძამბანიის თანხა 3,000,000 მანათი არის. რადგან მადანი მდიდარია და საქმე კარგად არის დაწყობილი, ეს თანხა დიდს სარგებელს იძლევა. ძარ-ხნის მუშები სულ ნემეცები არიან. ძარხანას აქვს რკინის გზა 30 ვერსის სიგძისა. საზოგადოდ ეს ქარხანა უმდიდრესი და საუკეთესოდ მოწყო-ბილი ქარხანა არის მთელს ქავკასია-ში.

ალაზან ვალმა ჯგუფი სპილენძის მდნისა თელავის მაზრაშია, რო-გორც ვიცით, ალაზანის მარცხენა მხარეზე იმ მთებში, რომელიც ლავ-სტანსა და მდიდარს ძახეთსა ჰყოფს ერთმანერთისაგან. ეს მადნები ეკუთ-ვნიან შარალაშვილებს, თუ არ ესცდე-ბით. აქ სპილენძის ძარღვი ჩაწოლი-ლა 400 კვადრატული ვერსის სი-ვრცეზე. რომ წარმოვიდგინოთ, რა აუარებელი და ულეველი სპილენძია აქ ზოდებად ჩაწყობილი, ვიცყვით მხო-ლოდ, რომ ოხრატის წყლის ღელეში, ავტორის გამოანგარიშებით, 4,200 მილიონი ფუთია დამალული და 10% წმინდა სპილენძს შეიცავს: „სად შე-გიძლიანთ მთელ დედა-მიწის ზურგზე ჰპოვოთ სხვა რამ ამ გვარი?“ ამას გარდა, უნდა შევნიშნოთ, რომ აქ სპილენძის წარმოება ძალიან ადვილი მოახერხებელია: ალაზანისა და იო-რის ხეობა ედ ხშირი და ტყვი ტყეა ატენილი და ამას გარდა ნაკთის წუ-ბოკებიც მოიპოვება. მუშა იაფი, გზა კარგი, ჰავა მშვენიერი. «თი სად ეი-ძლება სპილენძის წარმოება». — გატა-ცებით ამბობს ავტორი. «აქ მრავლად არის მინერალი მშვენიერის თვისები-სა, რომელიც მასთანავე ზოდობით არის ჩაწყობილი და არა ცალ-ცალკე კვარცხლით, როგორც მლისავეტო-პოლში. მინერალებიც ბევრია სამუშა-ვოდ; ტყეც მრავალ საუკუნეთა გან-მავლობაში სამკოფი; ყველგან მუქ-თად შეფილიანთ ისარგებლოთ გი-დრაველკულის ძალით, თუნდა მო-ქარბებოთაც, რადგან ყველგან მარს წყალი უხვად მოჩქარალებს».

— ბთუმიდგან გვწერენ: «ამ დღეებ-ში ბათუმის ქართველთა მაჰმადიანთ გამოეცადათ ხელმწიფე იმპერატორის

უმალესი პასუხი იმ ჯგუფრამაზედ, რომელიც უმალესს სახელობით იყო გავაზნინილი. ამ გარემოებამ დიდი ალიაქოთი მიახდინა მაჰმადიანებზე, რომლებსთვის საადგილ-მამულო საქ-მე დღურს ვარამს შეადგენს. მომე-ტებულს ნაწილს მაჰმადიანთა ვერ გა-უვიათ ამ ქალაქის შინაარსი და იძახიან, რომ ჩვენი საქმე უმალესად გადაწყვეტილა არა ჩვენ სასარგებ-ლოდ, რადგანაც მიწები ზომით უნდა მოგვეცეს და არა საზღვრე-ბითაო. ზოგიერთების დასამვიდებ-ლად საქიროდ ვრაცხო „დროების“ შემწეობით ვაცნობოთ ნამდვილი ში-ნაარსი იმ ქალაქისა. პირველად ის არის ნათქვამი ქალაქში, რომ ტე-ლეგრაფმა პირდაპირ უმალესის სახე-ლობაზე არ შეიძლება მიიწეროს, იგი უნდა გაიგზავნოს არსების კომი-სიის სახელობაზე, რომელიც და-ნიშნულებისა მებრ ვარდაცემსო. შემდეგ ვწერა, რომ მთავარ-მართებე-ლის აზრი ადგილ-მამულების თაობა-ზე ბათუმის მაზრაში საყურადღებოა ძარიაო. ზერ დაბოლოვებით არ გა-დაწყვეტილა საადგილ-მამულო საქმე სახელმწიფო რჩევაში, ეს ნამდვილად სჩანს იმ ქალაქიდან, ასე რომ საად-გილ-მამულო საქმე ბათუმის მაზრაში თავში საცემი და საადვიდარაბო სა-განია, რომელზედაც კიდევ შეიძლება თხოვნა გაეგზავნოს უმალესს მთავ-რობას».

— „თბილისის საქალაქო კრედიტის საზოგადოების“ ობლიგაციებს ფასის მომატება მოელოთ. პეტროპოლიტამ მოსულა ქალაქი, რომლის ძალითაც ამას იქით ეს ობლიგაციები მიიღებინა „პრიკასის“ ვალში ქალაქის მამულებ-ზედ მათის ღირებულობის კვლობა-ზედ. აქამდის ეს ობლიგაციები ფა-სობდენ ბირჟაზედ — ათ — თუმანი 65-70 მანათად, ამას იქით კი ფასი მოემატებათ, რადგან პრიკასი თავის ვალში ქალაქის მამულზედ ათ-თუმ-ნიანს ათ თუმანიადვე მიიღებს. მთა-რობას მიუღია ეს არი მხოლოდ იმ პირობით, რომ ამ ბანკის საქმეებს განიხილავდეს ხოლმე სამუდამო სა-რევიზო კომისია, რომელსაც უნდა შეადგენდნ სამი წევრი თითონ სხე-ნებული საზოგადოებისა, ერთი წარ-მომადგენელი ჭინანსთა სამინისტრო-სი და ერთი წევრი ქალაქის საბჭო-სი.

— 1846 წელს ძახეთის გზაზედ მიმავლობდა ფულის ფოსტა, რომელშიაც რამდენიმე ათასი მანათის თეთრი ოქროს (პლატინის) ფული ყოფილა; ტროიკა რომ შემდგარა იერის ხილზედ, ხიდი ჩაქცეულა და





ფული სულ ერთიანად დაღუპულა. ბერი ეძებეს მასუკან ფული, მაგრამ ვეღარ იპოვნეს. მათს გავლენიან თავადიშვილს დააბრალეს თურმე ამ ფულის ამოღება იერიადამ, ბერიც სტანჯეს თურმე და დიდს ზარალშიაც შეიყვანეს. მხლა, როგორც გვაცუობინებენ, აღმოჩენილა ამ თავადიშვილის სიმართლე და ერთის არხის გაყვანის დროს უპოვნიათ ნაწილი იმ ფულისა, რომელიც 1846 წელს მდინარეს ჩაუძირავს და 38 წლის განმავლობაში ქვიშისა და ქვის ქვეშ შეუწახავს.

== ნოვოგერმიაშია ვკითხულობთ შემდეგს: «შირიშა, ბესარაბისა და ძავეკასიაში გაჩნდნენ საფრანგეთის ღვინის მოვაჭრეთა აგენტები, რომელნიც ჯერჯერობით ყიდულობენ მხოლოდ მაჭრებს და ათვლიერებენ ადგილობრივ ვითარებას. მს ვითარება, რომელიც ვინც იცის, რა ნაირ საშიშრად არ ენატებოდან აქამომდე გონებაში უცხო ქვეყნელთ, დღეს, ახლო გაცნობის შემდეგ, სრულიად ისე საშიშარი აღარ არის, როგორც ჰგონებდნენ. აგენტები ახლა კი მიხვდნენ, რომ მაჭრის სყიდვის მაგივრად ბევრად უფრო სასარგებლო იქნება მათთვის, რომ თვითვე ახლები შეიძინონ, შემდეგ მოიყვანონ საფრანგეთიდან ღვინის კარგად დამყენებელი და მოიტანონ ფული და კაპიტალები, რომელნიც ძავეკასიის ღვინო-წარმოებას ნამდვილს სააღებ-მიცემო განვითარებას მისცემს. ამ გზით, — განაგრძობს „ნოვ. გერმია“, — ეს უდიდესი საქმე ჩქარა გავარდნათ რუსებს ზარმაცი ხელიდამ და გადავა უცხოეთიდან მოსულთა ხელში, რომელთაც, დიდი ხანია, კარგად იციან ყველაფერიდამ სარგებლობის გამოტანა მედგრის შრომის — მოყვარობისა და მეცნიერულ ცოდნათა გამოყენების წყალობით.

ამ გვარად საქმის დატრიალება ხაზინისთვის კარგია. ცხადია, რომ, როცა ღვინო-წარმოება გავრცელდება, ხარჯი და გადასახადი დაედება მას და ყოველივე ეს რუსეთის ხაზინას შეემატება, მაგრამ ეს ჩვენის ეროვნულის თავ-მოყვარობისათვის მანებელია — პატრიოტობს „ნოვოგერმია“. ძავეკასიის ნიადაგი, მორწყული რუსეთის ყაზახისა და სალდათის სისხლით, მისცემს თავის უკეთეს ნაყოფს უცხოელთა კაპიტალების გადიდებისათვის. საქართველო და ყირიმი უბრალო კოლონიებად გადაქცევიან ფრანგულნი და ინგლისელების ანუ ნემეცების ხელში, რომელნიც რუსეთს ცოტაოდენს ხარჯს მისცემენ და დანარჩენს სიმდიდრეს ამ ქვეყნებისას ისეთს საღსარად გადააქცევენ, რომელიც გააბეგრებს და გადიდებს იმათს საკუთარ კაპიტალებს. მს ერთხელ კიდევ დაამტკიცებს ჩვენს სისულელეს. ნუ თუ ქვიანი და სარისტანი რუსები ეხლა მაინც არ უნდა აჩქარდნენ და თავად არ უნდა ჩაეგდონ ხელში ის საქმე, რომელიც წარმოუდგენელ სიმდიდრეს ჰპირდება მთლად მუშა ხალხს სამხრეთის რუსეთისას და ძავეკასიისას».

ამ ნოვოგერმიაშია მკვერ-მეტყველობას რომ ჰკითხულობ ჩვენი ქვეყნის სიმდიდრეზე, უნებლიედ ჰფიქრობ: ჩვენ რის ტიკი-ტომარანი-ღა ვართ?

== ბამოვიდა მეხუთე და მეექვსე წიგნი (მაისის და თიბათის) ჟურნალის «ივერიისა». წიგნი შეიცავს შემდეგს შინაარს: ა) ლელია (შემდეგი) რომანი ჰორე-ზანდისა თარგ. კ. ნ. მრის-თავისაგან. ბ) მართველთა ძველი ცხოვრების კვალი წმ. ქვეყანაში და სინაის მთაზე (სიტყვა თქმული პროფესორის ა. ა. სავარელის მიერ პალესტინის საზოგადოების სხდომაზე 30 დეკ. 1883 წ. (დასასრული) თარგ. რუსულით ა. მირიანაშვილისაგან), გ) მიცვალებული (ლექსი) ცხელი-სა, დ) საანდაზო ლექსები, ამოკრეფილი „მეფეების-ტყაოსნიდამ“ „ძილი-ლა და მანიდამ“ და „ბურამიანიდამ“ (გაგრძელება). ე) რამდენიმე შენიშვნა ადგილობრივის ელემენტის შესახებ ძველის ქართულის მითოლოგიისა ალ. ბრანისა. ვ) ხმა ღვთისა და ხმა ერისა, (ლექსი) თ. რაფ. მრის-თავისა. ზ) მართული ლიტერატურა, წერილი არტურ ლეისტისა. ც) ლიტერტი, როგორც პედაგოგი, გადაღმელისა. თ) საიდგან წარმოსდგა ძავეკასიაში ყაზახობა, (სტატია ბ. ლეინაშვილისა). ი) დამატება: მასალა ისტორიისათვის, შემოკლებითი აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა.

**„დროების“ კორმსკონფენცია.**

ბათუმში, ივლისის 11-ს. „დროების“ მკითხველებმა იციან, რომ ხოლერა რა ნაირია: აზიური და ადგილობრივი (სპორადიული). იციან აგრეთვე, რომ აზიური ხოლერა სხვა მხარეებს აზიიდან შეესევა ხოლმე და აზიურის მძვინვარებითა მუსრს ავლებს ხალხსა; სპორადიული ხოლერა ჩნდება ადგილობრივი ჰიგიენის წინააღმდეგ და ცუდი სანიტარულის ვითარებისა გამო, ესე იგი უსუფთაობისა, უკანონო ყოფა-ცხოვრებისა და სხვ. მიზეზების წყალობით.

დღეს სრულიად მგრობა ფეხზეა წამომდგარი, რომ ყველა საშუალებანი იხმაროს ამ საშიშელის მოუწვეველის სტუმრის განსარიდებლად. საფრანგეთში მიქნაფარებს ხოლერა. სხვა სახელ-მწიფონი გზებს უკრავენ ამ საშიშელს ღვთის წყრომას. აგერ ჩვენი ბათუმის ნავთ-სადგურშიაც ამართეს ყვითელი ღროშები — ეს იმის ნიშანი, რომ ბათუმში კარანტინი დაწესდა..

თუმცა ბათუმში მოდიან ძველის ქვეყნის გემები და ორთქლით მატარებლები, მაგრამ ამ მხრით ახლა საშიში აღარ არის, საფთხოლო და გემულია. მაგრამ ბათუმი ისეთს სანიტარულს მდგომარეობაშია, რომ მიკერს, რატომ აქამდის არ გაჩნდა აქ სპორადიული ხოლერა.

ბათუმის ატმოსფერა ისეა შეზავე-

ბული ვერც-წოდებული ბაქტერიებით, რომ არა თუ ხოლერა, სხვა ავადმყოფობაც კი შეიძლება გაჩნდეს, თუ ახლავე არ მიიღეს საშუალებანი. მრი ნაწილი ბათუმისა — «ახმეტ ფაშა» და «მუფტი», რომლებსაც «აზი-უზს» ნაწილს ეძახიან, ისე ბინძურად არიან, რომ გაიაროს ამ ნაწილებში, ვისაც უნდა, და თუ ის ცხვირზე ხელს არ იტაცებს და არ გამოიქცევა საშიშელის სუნის გამო, მე ცხვირს მოვიჭრი. იქნება, კიდევ იყოს ამ ნაწილებში თუ ხოლერა არა — ხოლერინა (ხოლერის მგზავსია) მაინც, მაგრამ ვინ არის პატრონი, რომ ეს შეიტყოს და აცნობოს, ვისიც ჯერ არს.

ააშენოს ღმერთმა მსტატე ძოპალადის ღორები, რომელნიც ისე გულმოდგინედ ასუფთავებენ ამ ნაწილებს, რომ ამ გაჭირებულს და საშიშს დროს ნამდვილ ასენიზატორობას ისინი შერებიან. მაგრამ სიკეთის მაგივრად უწყალოდ ხოცვენ ამ პირუტყვებს მოხელეები. ამას წინადაც მოჰკლეს რამდენიმე ღორი. მივიდა პატრონი და ემუდარა, ხორცი მაინც მიეცათ მისთვის, მაგრამ უბედურს პატრონს «პატრონების» ფასიც კი წაართვეს, თორემ ხორცს ვინღა სჩიოდა. რომ იტყვიან, თხის პატრონს, აღარც თხის კულიო, ეს არის სწორედ!

არც „ნურია“ განლაგსთ ამ მხრივ სანატრელს მდგომარეობაში: რაც ბათუმში სიმინძურე არის, ამ ნაწილში იყრება. მთელი ბათუმის საყასბოები აქვეა. საყასბოების გვერდითვე იყრება დახოცილი ცხენები და სხვა პირუტყვები. აქვე ამ ადგილას არის ჩაგუბებული წყლები, რომელთ ორთქლი სწამლავს არე-მარეს. აქვე, შუა ქალაქში, ინახვენ საქონელს ღამ-ღამობით ბაქებში, რომლებსაც სრულიად არ სწმენდენ. მასებესაც ჯეროვანს ყურადღებას არ აქცევენ, რომ ხორცი სუფთად ჰყიდონ და საყასბოებს არ აბინძურებდნენ. საშიშლად მიკერს, რომ ნებას აძლევენ «ფოდ-რაჩიკებს» შუა ქალაქში ნახირის ყოლისას. ამას მიეუმატოთ „ნურის“ მეორე ტბაც, რომელსაც შორი-ახლოს ვერ მიეკარება კაცი და მაშინ არ შეესცდებით, რომ «ნურიაც» მხად არის ახალის სტუმრის, ხოლერის მიხედვად. ურწმუნო მომებს, რომლებსაც არ სჯერათ ბათუმის ამ გვარი მდგომარეობა სანიტარულის მხრივ, ვურჩევთ მოძძანდნენ და თვლით იხილონ ჩვენ მიერ მოწერილი სურათი.

ზოგიერთა ოხუნჯი გვაგები და ცინვით ბძანებენ, რომ ბათუმში ხოლერას არ შემოუშვებენ დამოყენის მუყაითნი მოხელენიო...

**წერილი რედაქტორთან.**  
ბ. რედაქტორო!  
თქვენი გაზეთის 124-ს ნომერში დაბეჭდილია კორესპონდენცია ქ. სი-

ნალიდამ, რომელმაც ვაწირობდა სოფ. ჯიმიტის შევიწროებული მდგომარეობა. ამისთანა მდგომარეობის მიზეზად ბ. კორესპონდენტი, სხვათა შორის, აწ განსვენებულს მ. დ. შ. სთვლის. საკვირველია, ღმერთმანი, ზოგიერთა ჩვენი კორესპონდენტის საქმე! მლონდაც თავიანთ ტენის ნაწარმოები გაზეთში ნახონ დაბეჭდილი და ვისაც გინდათ, ჩირქს მოსცხებენ, ვისაც გინდათ, შეურაცხ-ჰყოფენ. ამისთანა კორესპონდენტებს დაბეჭდილი სიტყვა ჩალაბულად მიაჩნიათ და, რაც გუნებაში გაუელით, მაშინათვე სწერენ გაურკვეველად და შეუმოწმებლად.

აელოთ შემოსხნებული წერილი სილნალიდამ. — «ამბობენ მომსწრე კაცები, — ბძანებს ეს კორესპონდენტი, რომ უწინ სოფ. ჯიმიტში 500 კომლადე მცხოვრებელი ყოფილან და ეხლა კი 407 კომლი-ღა არისო. მს ამოდენა ხალხის გასვლა სულ მამასახლისების, ხარჯის მკრეფავების და მ. დ. შ. ბრალიო; ამათი გადამკიდე ვინც არიან, ლამის ისინიც აქედგან გადაიკარგნო».

ბ. კორესპონდენტს რომ დაბეჭდილი სიტყვის ღირსება და პატივი სცოდნოდა, იგი მარტო «ამბობენ» ზედ კი არ დაამყარებდა თავის აზრს, არამედ გამოიკვლევდა რიგიანად და მაშინ, დარწმუნებული ვარ, იმას არ იტყოდა, რაც სთქვა მან მ. დ. შ. — ზე.

მ. დ. შ. გადავიდა სოფ. ჯიმიტში 1866 წ. და დაჰყო იქ 1882 წლამდე, ე. ი. სიკვდილამდე. 1865 წ. სოფ. ჯიმიტში ითვლებოდა 311 კომლი მცხოვრებნი\*), 1882 წ. კი ითვლებოდა 410 კომლი\*\*). ამ სტატისტიკური ცნობებიდან ცხადად სჩანს, რომ მ. დ. შ. მ — ბის დროს არამც თუ არ დაჰკლებია სოფ. ჯიმიტის მცხოვრებლებს, არამედ ერთი მესამედი მომატებია, და ამ მცხოვრებთაგანი, „როგორც მე ნამდვილად ვიცი“, ერთი კომლიც არსად არ გადასახლებულა და არც ვინმე აპრობს «გადაკარგვას». მაშ რად იტრუვა ბ. კორესპონდენტმა? იმიტომ, რომ იმ წყევულს «ამბობენს» დაემყარა და თითონ კი არ შეიწყინა თავი, ნამდვილად გამოეკვლია ეს საქმე. ამ გვარი საქმის გამოკვლევაში მარტო ყურთა სმენა არ არის საკმარისი, გონების თვლიც უნდა გადადევნოთ ხოლმე, ბატონო. ბარდა ამისა, ბ. კორესპონდენტი ბძანებს, რომ ს. ჯიმიტში სკოლა იმისთვის არ არისო, რომ მ. დ. შ. წინააღმდეგი იყო სკოლისაო, რომ მან

\*) Списокъ сельскимъ обществамъ Тифлисской губерніи, утвержденный быв. Намѣст. Кав. 11-го апрѣля 1865 года.

\*\*) Списокъ сельскимъ обществамъ, представленный губернаторомъ въ краѣ начальнику 10 апрѣля 1882 г.





ორი საღებავი ალაგი ჩაიგდო სოფლისა უსაბუთოდ, რომელიდანაც ერთიდან 200 და მეორედან 80-100 მანეთს იღებს...

მს კი ისეთი ცილისწამება, რომ არც ერთ სენილისიან კორესპონდენტს არ მიეჭვება. მსთვის, მცხოვრებლების რიცხვში შეიძლება შემცდარიყო ბ. კორესპონდენტი, რადგანაც არც ის სტატისტიკური ცნობები ქნებოდა ხელთ, რომელნიც მე მოუყვანე და არც იმათ ეხსომებოდათ, რომელთაც მას უამბეს, რომ ჯიმიში მ. დ. შ. მოსვლამდე უფრო ბევრი მცხოვრებლები იყო...

სკოლა ისეთი საყვარელი საგანი იყო განსვენებულის მ. დ. შ., რომ გადავიდა თუ არა სოფ. ჯიმიში, მაშინვე გამართა სკოლა თავის საკუთარს სახლებში, მერე თავის საკუთარს ხარჯით ააშენა „ცალკე“ საღებავი და იქ გადაიტანა. რამდენიმე წელიწადი აწარმოებდა სკოლის საქმეს; სოფელს არც ერთი მანკული არ გაუღია, არც საღებავის აშენებაში, არც ყმაწვილების სწავლაში, არც წიგნებისა და არც სხვა საჭირო ნივთების ყიდვაში. ისე რიგიანად განაგებდა ამ სკოლის საქმეს, რომ მთავრობამ მიაკცია ყურადღება და დაუნიშნა ჯამაგირი 150 მ. წელიწადში. ამ ჯამაგირს ისევ სკოლას ახმარებდა, რადგანაც თავის ხარჯით ყიდულობდა წიგნებს და სხვა საჭირო ნივთებს. ამ სკოლაში სწავლობდნენ არამცთუ ადგილობრივი მცხოვრებლების შვილები, არამედ თათრის შვილებიც სოფ. მუღალბოდან, რომელიც ჯიმიშიდგან ათი ვერსის სიშორეზეა. მს თათრის ყმაწვილები დღემდე მ. დ. შ. სახლში სცხოვრობდნენ. ღრესაც ბევრს ნახავთ არამც თუ ქრისტიანებს, არამედ თათრებსაც, რომელთაც ქართული წერა-კითხვა მ. დ. შ. სკოლაში ისწავლეს.

აქედან ვნახე ცხადად არა სჩანს, რომ მ. დ. შ. არამცთუ წინააღმდეგი იყო სკოლისა, არამედ გულ-მხურვალე მომხრე იყო მისი. მან ალბად კარგა ჩააგონა მცხოვრებლებს სკოლის სარგებლობა, რომ თვით თათრებიც ახარებდნენ შვილებს და ახარებდნენ იცით ვისა, ბ. კორესპონდენტო! მართლ-მადიდებლის სარწმუნოების მღვდელსა.

რაც შეეხება ორს საღებავ ალაგს, რომლებიც ვითომ მ. დ. შ. უსაბუთოდ ჩაიგდო ხელში და რომლებიდანაც 300 მ. იღებს—ესეც სრული სიცრუეა.

მართი ამ ალაგთაგანი მ. დ. შ. თავის საკუთარს სახლის ეზოს ჩასჭრა და ააშენა მასზედ საღებავი, რომელსაც ააღებდა ქირით ხან დუქნად, ხან სხვა საჭიროებისათვის და რომელიდანაც 50-60 მ. შემოსდიოდა წელიწადში და არა 80-100 მ., როგორც ბ. კორესპონდენტი ბძანებს.

რაც შეეხება მეორე ალაგს, ეს ალაგი თვით სოფელში მისცა თავის ნებით ამ თხუთმეტის წლის წინად. ამაზედ განაჩინიც არის შედგენილი და, თუ ბ. კორესპონდენტი შეიწყენებს თავს და გადათვალისწინებს ამ განაჩენს, დარწმუნდება, რომ ის პირობები, რა პირობებითაც ეს ალაგი მისცეს მ. დ. შ., უფრო სასარგებლონი იყვნენ სოფლისათვის, ვიდრე დ. შ.—თვის. თუკი ამ საღებავ ალაგით, როგორც ბ. კორესპონდენტი ბძანებს, სკოლა გაიმართება, უნდა მოგახსენოთ, ამ გვარი ალაგები ათობით აქვს სოფ. ჯიმიში და, თუ სოფელი ხარჯს არ დაერიდება და რომელსამე ამ ალაგზედ ააშენებს რიგიან საღებავ სახლს, მაშინ ეს ალაგიც ისეთივე შემოსავლიანი იქნება, როგორიც არის ის ალაგი, რომელიც მ. დ. შ. მისცეს.

მართალია, სიტყვა ძალიან გამოძვლვდა, მაგრამ არ შემიძლიან ორიოდ სიტყვა არა ესთქვა მ. დ. შ.—გან გამართულ აფთიქვზედ. იგი გულ-გრილად ვერ უყურებდა, როდესაც გლეხი კაცი უბრალო ციებ-ცხელებით ხდებოდა ავად და შემდეგ კი ეს ციებ-ცხელება მოუვლელობის და უწყალოვლობის გამო სახადად და სხვა საშიშ ავადმყოფობად გადაექცეოდა ხოლმე. მან როგორც უწინდელ სემინარიაში კურს დასრულებულმა სადაც ცოტაოდნენ ფიზიოლოგიას და მედიცინას ასწავლიდნენ, იცოდა ზოგიერთა ავადმყოფობის წამლობა. ამისათვის თავის ხარჯით გამართა თავის სახლში აფთიაქი და შემდეგ ბის კვლად სწამლობდა ავადმყოფებს უფასოდ.

ზოხოვთ, ბ. რედაქტორო, ამ ჩემს წერილს მისცეთ ალაგი თქვენს პატივცემულ გაზეთში და მასთან ბოდიშს ვითხოვ თქვენთან, რომ ეს ბევრისთვის უსარგებლო პასუხი ასე გამოკრძვლვდა, მაგრამ ამისი დამნაშავე არის ბ. სიღნაღელი კორესპონდენტი, რომელმაც ასე წინ-დაუხედავად და საქმის გაუგებრობით, არ ვიცი, რა განზრახვით, შესწამა ცილი მ. დ. შ., რომელიც ყოველთვის მფარველი და კეთილ გზაზედ დამყენებელი იყო სოფ. ჯიმიისა და რომელიც დღეს აღარ არის ქვეყნად, რომ პასუხი თვითვე უგოს თავის გამკიცხველს.

ჯიმიისი. ივლისის 10-ს.

### ცელეკრამები

(„ზრდილოეთის სსკვენტოსი“)

ივლისის 11-ს. პატივპატივში. გუშინ გზათა სამინისტროში, იმის გამო, რომ გენერალს პოსიეტს ათი წელიწადი შეუსრულდა, რაც ამ სამინისტროს განაგებს, პარაკლისი გადაინადეს, რის შემდეგ მიულოცეს მინისტრს, რომელმაც მოკლე სიტყვით მადლობა გამოუცხადა თავის ხელ-ქვეით მასამსახურეთ დახმარებისათვის და გამოაცხადა იმედი, რომ შემდეგშიც არ მოაგლებენ მას თავიანთ დახმარებას.

ოღმსა. ნავოსნობის საზოგადოებას განზრახვა აქვს დააწესოს რეისები ბათუმისა, მარსელისა და ოდესის შუა და ამისათვის ინიშნებიან ცეცხლის გემები, რომელნიც როდოკონსაკისაგან შეისყიდეს და ორიც ახლად შეკეთილი.

გელსინგჰოლსი. გუშინ მოვიდა აქ ცეცხლის-გემ ჭრეგატზე „ოლანა“ დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის-ძე, ნახა ადგილობრივი უზარმები და ქალაქი დაათვალიერა.

ლონდონი. კონჭერენცია შეიკრიბა გუშინ, მაგრამ გადასდვა საქმეები და შემდეგი სხდომის დღე არ დანიშნა.

ქარსენია. სამშაბათს ესპანიის საფოსტო ცეცხლის-გემი დაეჯახა ზღვაში ინგლისისას და ორივე ჩაიძირა; ზოგნი მგზავრნი და

ეკიპაჟის ერთი ნაწილიც დაიღუპნენ.

პარიში. ხოლერის გამო დიდი მანევრები სამხრეთ საფრანგეთში მოსპეს.

ტულონი. ხოლერით მოკვდა: აქ 29, მარსელში 41 და არღში 8 კაცი. ივნისის 12-ს.

პატივპატივში. „ნოვოე ვრემია“ გვაუწყებს, რომ შემოდგომაზე სესიის დაწყებისათვის სახემწიფო რჩევას წარუდგენენ პროექტს ბაქის მომატების თაობაზე სამზღვარ გარეთიდან მოტანილს რკინაზე, მაშინებზე, რკინისა და ლითონის ნაწარმოებზე.

ქალაქის უფროსის განკარგულებანი სატახტო ქალაქის გასუფთავების შესახებ დიდის მხნეობით მოჰყავთ სისრულეში; რამდენიმე უახსისა და ბაყლის დუქანი დაკეთილ იქნა; ქალაქის მთავრობამ საშუალება იხმარა აფთიქრების მიერ თვით-ნებობით ფასის მომატების წინააღმდეგ უსაჭიროეს სადიზენჭეკციო მასალებზე.

ბრიუსელი. სენატისა და დეპუტატთა პალატისაგან ამორჩეულნი საპრეზიდენტო ბიურონი შესდგებიან განსაკუთრებით კლერკალებისაგან. წარდგენილ იქმნენ კანონ-პროექტები სასკოლო საქმის გადაკეთებისა და ვატიკანში ბელგიის წარმომადგენელის პოსტის განახლებაზე.

### განცხადებანი

ისყიდება ყველა მალაჩიებში ტოლს სტარინის სამთლები პირველი სორტისა 4 და 5-იანი. შუთი 11 მანათი, გირვანქა 28 კაპ., (5-1)

თბილისის ქალაქის გაგებობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ 20 ამ ივლისისას, დილის 12 საათზე,

გამგობის თანა-დასწრებით დანიშნულია ვაჭრობა კონცესიონურ უფლებებით სააქიზო ბოძების გამართვის და აჭიმების და განცხადებათა ქალაქ თბილისის სხვა-და-სხვა ადგილებში ვაჭრის უფლების გასაცემად. იმ პირობით, რომელთაც სურთ ვაჭრობა, შეუძლიანთ სინჯონ პირობანი გამგობის კანცელიარიაში ყოველ-დღე დილის 8 1/2 საათიდან 1 საათამდე შუა-დღის უკან. (3-3)


ჭუთაისის თავად-ახანაურთ საადგილ-გაგებობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ ბანკის წესდების მე § 18 ძალით, ქვემო მოყვანილს დღეებში, დილის 12 საათზე, ქ. ჭუთაისს, ბანკის გამგობის სადგომზე, საზოგადო ვაჭრობით გასყიდულ იქმნებიან სხენებულს ბანკში დაგირავებულნი უძრავნი მამულნი ქვემო აღნიშნულთა პირობა, ბანკის სახვედრო გადასახადთა მათ მიერ შემოუტანლობისა გამო.

ბასყიდვა მოისპობა მხოლოდ იმ მამულებისა, რომელთა მეპატრონენი, თანახმად ბანკის წესდების მე § 19-ისა, შეავსებენ ბანკის გადასახადს და თან განცხადებების ხარჯებს.

ვაჭრობა დაიწყება ქვემო მოყვანილის თაენი ფულიდამ ზედ დამატებით სხვა-და-სხვა შეუესებელის გადასახადისა, მამულის გასასყიდლად დანიშნვაზე ხარჯებისა და, საზოგადოდ, ყველა იმ ფულისა, რომელიც ბანკს თვისის მოვალის სამაგიეროდ დაუხარჯავს. ბანკის ხანგრძლივი ვალის თაენის მოსპობა შეიძლება ამავე ბანკის გირავოს ფურცლებით, რომელნიც მიიღებიან სახელდობრივის ფასისამებრ—მანეთი მანეთად; ხოლო ვადაზე გადასახადი და სხვა გვარი ბანკის სახვედრო ფული უნდა შემოტანილ იქმნენ ნაღდად.

მისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება ჰსურთ, მათ შეუქლიათ გასასყიდლელთ მამულთა აღწერილობის და საბუთების განხილვა ბანკის სამმართველოში.





თუ ეს ვაჭრობა არ შედგა, მაშინ, ბანკის წესდების 24 § საფუძველით, ინიშნება მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა 31 აგვისტოს ანა 1884 წლისა.

**ვაჭრობა 13 აგვისტოს 1884 წლისა.**

18 1/2 წლიანნი სესხნი.

ა. ქ. ქუთაისისა.

გაგაიასი, მასილ ძონსტანტინეს-ძის: პოლიციის ქუჩაზე ერთ-ეტაჟიანი ხის სახლი, და მიწა, 241 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 288 მან. 27 კაბ., შესავს. გადასახადი 71 მან. 05 კაბ. სულ 359 მან. 32 კაბ.

მაჭუტაძისა, ლირსა ზურაბის ასულისა, კნ.-სი: ნემცის ქუჩაზე ორი ქვეთკირის სახლი, ერთი ორ ეტაჟიანი, და მეორე ერთ ეტაჟიანი და მიწა, 193,45 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 6,208 მან. 13 კაბ., შესავს. გადასახადი 657 მან. 87 კაბ. სულ 6,866 მან.

თუჩქაისი, მამუკა ძონსტანტინეს-ძის: მაჭლის ქუჩაზე ორ ეტაჟიანი ქვეთკირის სახლი, და მიწა, 2330 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 6,856 მან. 45 კაბ., შესავს. გადასახადი 750 მან. 61 კაბ. სულ 7,607 მან. 06 კაბ.

თუჩქაისი, მამუკა ძონსტანტინეს-ძის, და ზუგუშვილისა, სტეფანესი: მიხაილის ქუჩაზე ერთ-ეტაჟიანი ქვეთკირის ლუქანი, და მიწა, 403 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 2379 მან. 55 კაბ., შესავს. გადასახადი 268 მან. 05 კაბ. სულ 2,647 მან. 60 კაბ.

მეკვიდრეთა ჩარქოვისა, მლისაბედ სიმონის ასულის: ბეგუთის ქუჩაზე ერთ-ეტაჟიანი ქვეთკირის ლუქანი, და მიწა, 10 1/2 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 2235 მან. 10 კაბ., შესავს. გადასახადი 342 მან. 83 კაბ. სულ 2577 მან. 93 კაბ.

ღუღაშვიტა: სოლომონ ნიკოლოზის ძის, სამონ, სპირიდონ, ალექსანდრე და სიმონ ძონსტანტინეს ძეთა: სათავადო ქუჩაზე ორ-ეტაჟიანი ქვეთკირის ლუქანი, და მიწა, 23 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 3,198 მან. 14 კაბ., შესავს. გადასახადი 513 მან. 24 კაბ. სულ 3,711 მან. 38 კაბ.

განდუგაისა, მკატერინე ანდრიას ასულის: მბორინის ქუჩაზე ორ-ეტაჟიანი სახლი და მიწა, 92 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 297 მან. 48 კაბ., შესავს. გადასახადი 63 მან. 57 კაბ. სულ 361 მან. 05 კაბ.

მეკვიდრეთა ლორდქიფანიძისა, ვლარა ბესარიონის ძის: მბორინის და ბაღის ქუჩებზე შუა ერთ-ეტაჟიანი ქვეთკირის ლუქანი, და მიწა, 700 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 4462 მან. 32 კაბ., შესავს. გადასახადი 548 მან. 34 კ. სულ 5010 მან. 66 კაბ.

ხაჩაზოვისა, ანა ბაბრიელის ასულის: პოლიციის ქუჩაზე ორი ორ-ეტაჟიანი სახლი, და მიწა, 300 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 4,015 მან. 93 კაბ., შესავს. გადასახადი 648 მან. 17 კაბ. სულ 4664 მან. 10 კაბ.

მეკვიდრეთა ხელთუფლიშვილისა, ბესარიონ ანდრიას ძის: მბორინის ქუჩაზე ერთ-ეტაჟიანი ხის ლუქანი, და მიწა, 442 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1338 მან. 59 კაბ. შესავს. გადასახადი 335 მან. 45 კაბ. სულ 1674 მან. 04 კაბ.

გურგულისა, მლონორა მიხაილის ასულის: ბალახენის ქუჩაზე ერთ-ეტაჟიანი ქვეთკირის სახლი, და მიწა ბაღით, 1230 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 3828 მან. 63 კაბ., შესავს. გადასახადი 650 მან. 71 კაბ. სულ 4,479 მან. 37 კაბ.

გამკვიდრეთა, ივანე ბიორგის ძის, ლევანოვისა: მესხეთის ქუჩაზე ერთ-ეტაჟიანი ქვეთკირის სახლი და მიწა, 29754 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1,684 მან. 76 კაბ., შესავს. გადასახ. 229 მან. 96 კაბ. სულ 1,914 მან. 72 კაბ.

ქუთათელაძისა: ძღემენტი პეტრეს ძის, და მეუღლისა მისისა მკატერინასი: ბეგუთის ქუჩაზე ორ-ეტაჟიანი ქვეთკირის სახლი, და მიწა 200 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 2,067 მან. 42 კაბ., შესავს. გადასახ. 258 მან. 01 კ. სულ 2325 მან. 43 კაბ.

მურგანოვისა, პეტრე სიმონის ძის: სილაზე ერთ-ეტაჟიანი ქვეთკირის ლუქანი, და მიწა, 210 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 612 მან. 77 კაბ., შესავს. გადასახ. 127 მან. 73 კაბ. სულ 740 მან. 50 კაბ.

საჩხაძისა, ივანე ბეგანის ძის: მბორინის ქუჩაზე ორი ორ-ეტაჟიანი ქვეთკირის სახლი, და მიწა, 81 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1940 მან. 60 კაბ., შესავს. გადასახადი 162 მან. 81 კაბ. სულ 2,103 მან. 41 კაბ.

მეკვიდრეთა შერეთისა, ნესტორ დიმიტრის ძის: მბორინის ქუჩაზე ორ-ეტაჟიანი სახლი და მიწა, 900 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 4,747 მან. 57 კაბ., შესავს. გადასახ. 766 მან. 63 კაბ. სულ 5514 მან. 20 კაბ.

გაბუნიათა, ნატალია ძონსტანტინეს ასულის: მბორინის ქუჩაზე სამი ერთ-ეტაჟიანი სახლი, ორი ხისა, და ერთი ქვისა, და მიწა, 284 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1778 მან. 11 კაბ., შესავს. გადასახ. 414 მან. 36 კაბ. სულ 2192 მან. 47 კაბ.

მეკვიდრეთა ალნაზოვისა, ივანე ძაცვას ძის: პოლიციის ქუჩაზე ორი ორ-ეტაჟიანი სახლი და მიწა, 334 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 3,231 მან. 51 კაბ., შესავს. გადასახ. 532 მან. 47 კაბ. სულ 3,763 მან. 98 კაბ.

იოსელიანისა, ლავით ივანეს ძის: მბორინის ქუჩაზე ორ-ეტაჟიანი სახლი და მიწა, 344 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 969 მან. 45 კაბ., შესავს. გადასახ. 197 მან. 56 კაბ. სულ 1166 მან. 01 კაბ.

ლორდქიფანიძისა, ნიკოლოზ ბიორგის ძის მესხეთის ქუჩაზე ერთ-ეტაჟიანი ხის სახლი და მიწა, 667 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1454 მან. 16 კაბ., შესავს. გადასახ. 234 მან. 36 კაბ. სულ 1,688 მან. 52 კაბ.

რუსუაძისა, ქესარია ათანასეს ასულის: მბორინის ქუჩაზე ორ-ეტაჟიანი ქვეთკირის სახლი, და მიწა, 89 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1026 მან. 63 კაბ., შესავს. გადასახადი 166 მან 44 კაბ. სულ 1193 მან. 47 კაბ.

მეკვიდრეთა მხორევესკისა, სიმონ მასილის ძის: ალექსანდრეს სლო-ბოდაში ერთ-ეტაჟიანი ქვეთკირის სახლი და მიწა, 189 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 807 მან. 89 კაბ., შესავს. გადასახ. 127 მან. 15 კაბ. სულ 935 მ. 04 კაბ.

ჩუჩუაძისა, ძაზიმირ იოსების ძის: ბალახენის ქუჩაზე ერთ-ეტაჟიანი ქვეთკირის სახლი და მიწა, 311 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 3877 მან. 90 კაბ., შესავს. გადასახ. 457 მან. 26 კაბ. სულ 4335 მან. 16 კაბ.

მეკვიდრეთა ზალინოვისა, ნიკოლოზ მანოქის ძის: მარაგან-სარაის ქუჩაზე ერთ-ეტაჟიანი ქვეთკირის ლუქანი და მიწა 36 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 9936 მან. 50 კაბ., შესავს. გადასახ. 349 მან. 24 კაბ. სულ 10285 მან. 74 კაბ.

ზურგულისა, ნატალია მოსეს ასულის: მბორინის ქუჩაზე ერთ-ეტაჟიანი ქვეთკირის სახლი და მიწა, 198 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 2,522 მან. 75 კაბ., შესავს. გადასახადი 103 მან. 22 კაბ. სულ 2625 მან. 97 კაბ.

ქალანთაროვისა, ლავით ძარაპეტას ძის: ივანოვის ქუჩის შესახვევში ორ-ეტაჟიანი სახლი, და მიწა 298 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 1656 მან., 04 კაბ., შესავს. გადასახადი 226 მან.; 95 კაბ., სულ 1882 მან. 99 კაბ.,

ლორდქიფანიძეთა, სიმონ და იოსებ ნიკოლოზის ძეთა: მბორინის ქუჩაზე ორ-ეტაჟიანი ქვეთკირის სახლი და მიწა, 321 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 8,280 მან. 50 კაბ., შესავს. გადასახ. 892 მან., 66 კაბ. სულ 9173 მან., 16 კაბ.,

ფეიქაროვისა, იოსებ სტეფანეს ძის: მბორინის ქუჩაზე ორი ერთ-ეტაჟიანი ქვეთკირის სახლი, და მიწა, 169 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 3643 მან., 99 კაბ., შესავს. გადასახ. 372 მან., 46 კაბ., სულ 4016 მან., 40 კაბ.,

შამღიაშვილისა, შილხაზ მანარას ძის, და ციციანშვილთა: მარდახა და მლო მონას ძეთა: მბორინის ქუჩაზე ერთ-ეტაჟიანი ქვეთკირის ლუქანი და მიწა, 7 კვადრ. საჟ., 8 კვადრ. ალაბი; თავნი ვალი 2484 მან., 10 კაბ., შესავს. გადასახ. 294 მან., 33 კაბ., სულ 2778 მან., 43 კაბ.,

წუჭუჭისა, სიმონ ლავითის ძის: მბორინის ქუჩაზე ორი ერთ-ეტაჟიანი ქვეთკირის სახლი და მიწა, 1044 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 15,732 მან., 80 კაბ., შესავს. გადასახ. 1629 მან., 27 კაბ., სულ 17,362 მან., 07 კაბ.,

ჩაჩქაოვისა, მლისაბედ სიმონის ასულის: რკინის გზის მუთათის სად-გურის ახლო ორი ერთ-ეტაჟიანი ხის სახლი და მიწა, 8006 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 1242 მან., 04 კაბ., შესავს. გადასახ. 257 მან., 08 კაბ., სულ 1499 მან., 12 კაბ.,

კრისტოვასა, ძონსტანტინე სიმონის ძის: მბორინის ქუჩაზე ორი ქვეთ-კირის ორ-ეტაჟიანი სახლი და მიწა, 1200 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 12,812 მან., 64 კაბ., შესავს. გადასახადი 539 მან. 4 კაბ., სულ 13,351 მან., 68 კაბ.,

ალაქიძეთა, ნიკოლოზ და ნოშრევან მქროპირის ძეთა: ივანოვის ქუჩის შესახვევში ორ-ეტაჟიანი სახლი, და მიწა, 224 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 1017 მან., 12 კაბ., შესავს. გადასახ. 187 მან., 26 კაბ., სულ 1204 მან., 38 კაბ.,

ავალიანისა, ლუკა სიმონის ძის: მბორინის ქუჩაზე ორ-ეტაჟიანი ქვეთკირის სახლი და მიწა, 195 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 6950 მან. 23 კაბ., შესავს. გადასახ. 829 მან. 47 კაბ. სულ 9,779 მან. 70 კაბ.

ბინაჟიშვილებისა: პრონა, ლავით, ისხაკა და მიხაილ ელოს ძეთა: ბაზრის ქუჩაზე ერთ-ეტაჟიანი ქვეთკირის ლუქანი და მიწა, 7 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 2,881 მან. 90 კაბ. შესავს. გადასახ. 333 მან. 01 კაბ. სულ 3,214 მან. 91 კაბ.

ბეკვაიასი, მტია ლავითის ძის: მბორინის ქუჩაზე ერთ-ეტაჟიანი ქვეთ-კირის სახლი, კუხნა და მიწა, 256 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 4,577 მან. 07 კაბ., შესავს. გადასახადი 535 მან. 75 კაბ. სულ 5,112 მან. 82 კაბ.

გუგაძისა, ნიკოლოზ ბლახუას ძის: მეორე ქუჩაზე ალექსანდრეს სლო-ბოდაში ერთ-ეტაჟიანი ხის სახლი და მიწა, 279 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 847 მან. 62 კაბ., შესავს. გადასახ. 182 მან. 42 კაბ. სულ 1030 მან. 04 კაბ.

(იხილეთ მეხუთე გვერდი.)



გვარამია, იაკობ ივანისძის: ნემცის ქუჩაზე ორი ქვიტკირის ორ ეტაჟიანი სახლი და მიწა, 288 კვადრ. საყ.; თავნი ვალი 5,933 მან. 43 კაბ., შესავს. გადასახ. 889 მან. 65 კაბ. სულ 6,823 მან. 08 კაბ.

გაბუნია, მიხაილ ბეგენისძის და ძაგანისი, მთარ ლუტუსის: გვერუთის ქუჩაზე ორს ერთ ეტაჟიანი სახლი ხისა და ქვისა მიწით, 103 კვადრ. საყ.; თავნი ვალი 847 მან. 62 კაბ., შესავს. გადასახ. 94 მან. 11 კაბ. სულ 941 მან. 73 კაბ.

გამრეკელიძის, იოანე ბიორგისძის, დეკანოზის: მესხეთის ქუჩაზე ერთ ეტაჟიანი ქვიტკირის სახლი და მიწა, 1,470 კვადრ. საყ., თავნი ვალი 5,085 მან. 66 კაბ., შესავს. გადასახ. 495 მან. 90 კაბ. სულ 5,581 მან. 56 კაბ.

დუჩაიძის, სოლომონ არტემისძის: მიხაილის ქუჩაზე ერთ ეტაჟიანი ქვიტკირის ლუქანი და მიწა, 57 კვადრ. საყ.; თავნი ვალი 3,305 მან. 70 კაბ., შესავს. გადასახ. 378 მან. 77 კაბ. სულ 3,684 მან. 47 კაბ.

ეზიგოვის, რაფაელ სიმონისძის: თბილისის ქუჩაზე ერთ ეტაჟიანი ქვიტკირის ლუქანი და მიწა, 44 კვადრ. საყ.; თავნი ვალი 2,034 მან. 25 კაბ., შესავს. გადასახ. 293 მან. 77 კაბ. სულ 2,327 მან. 96 კაბ.

გაუხევიძის, ნინო ბიორგის ასულის: ივანეის ქუჩაზე ორ ეტაჟიანი სახლი და მიწა, 264 კვადრ. საყ.; თავნი ვალი 2,542 მან. 82 კაბ., შესავს. გადასახ. 471 მან. 86 კაბ. სულ 3,014 მან. 68 კაბ.

განდუღავის, ბერასიმე ივანისძის: მრპირის ქუჩის შესახვევში ერთ ეტაჟიანი ქვიტკირის სახლი და მიწა, 162 კვადრ. საყ.; თავნი ვალი 3,559 მან. 94 კაბ., შესავს. გადასახ. 234 მან. 80 კაბ. სულ 3,794 მან. 74 კაბ.

ღოთქიფანიძის, ბიორგი როსტომისძის: მრპირის ქუჩაზე ერთ ეტაჟიანი ქვიტკირის სახლი და მიწა, 369 კვადრ. საყ.; თავნი ვალი 2,542 მან. 82 კაბ., შესავს. გადასახ. 306 მან. 41 კაბ. სულ 2,849 მან. 23 კაბ.

მურგანოვა: მასილ და ტიმოთე სიმონისძეთა: მიხაილის ქუჩაზე ქვიტკირის ლუქანი და მიწა, 18 კვადრ. საყ.; თავნი ვალი 1,101 მან. 87 კაბ., შესავს. გადასახ. 138 მან. 82 კაბ. სულ 1,240 მან. 69 კაბ.

რამაძის, ლევან სიმონისძის: ბალახენის ქუჩაზე ორ ეტაჟიანი ქვიტკირის სახლი და მიწა, 260 კვადრ. საყ.; თავნი ვალი 8,476 მან. 12 კაბ., შესავს. გადასახ. 1102 მან. 70 კაბ. სულ 9,578 მან. 82 კაბ.

ფიქსიძის, მამაჯან ისრაილისძის: მიხაილის ქუჩაზე ორ ეტაჟიანი ქვიტკირის სახლი და მიწა, 43 კვადრ. საყ.; თავნი ვალი 2,119 მან. 09 კაბ., შესავს. გადასახ. 238 მან. 59 კაბ. სულ 2,357 მან. 68 კაბ.

ფიქსიძეთა: მანუხა, აბრამა და შამუელა შაფათასძეთა: ერთ ეტაჟიანი ქვიტკირის ლუქანი, და მიწა, 11,8 კვადრ. საყ.; თავნი ვალი 2,546 მან. 82 კაბ., შესავს. გადასახ. 259 მან. 44 კაბ. სულ 2,802 მან. 22 კაბ.

სულაქვიძის, ალექსი პავლესძის: ნიქარაძის ქუჩაზე ორი ქვიტკირის ერთ-ეტაჟიანი სახლი და მიწა, 68 კვადრ. საყ.; თავნი ვალი 1,301 მან. 55 კაბ., შესავს. გადასახ. 155 მან. 79 კაბ. სულ 1,457 მან. 34 კაბ.

თვალაძის: მესხეთის და სტეფანე დავითისძეთა: ბალის ქუჩაზე ერთ ეტაჟიანი ხის სახლი, და მიწა, 309 კვადრ. საყ.; თავნი ვალი 847 მან. 62 კაბ., შესავს. გადასახ. 169 მან. 77 კაბ. სულ 1,017 მან. 39 კაბ.

ტყეშელაშვილის, ბრიგოლ მტისძის: მესამე ქუჩაზე ალექსანდრეს ხლობოლაში ერთ ეტაჟიანი ქვიტკირის სახლი და მიწა, 228 კვადრ. საყ.; თავნი ვალი 1,731 მან. 10 კაბ., შესავს. გადასახ. 170 მან. 85 კაბ. სულ 1,901 მან. 95 კაბ.

საჩხაძეთა: ქონსტანტინე და დავით სტეფანესძეთა: ქარაგან-სარაის ქუჩაზე ორ ეტაჟიანი ქვიტკირის სახლი, ფლიგელი და მიწა, 176 კვადრ. საყ.; თავნი ვალი 18,647 მან. 48 კაბ., შესავს. გადასახ. 1,391 მან. 26 კაბ. სულ 20,038 მან. 74 კაბ.

ცხიტიანიძის, შილობე ზაალისძის: მესხეთის ქუჩაზე ერთ ეტაჟიანი ხის სახლი, და მიწა, 118 კვადრ. საყ.; თავნი ვალი 339 მან. 09 კაბ. შესავს. გადასახ. 95 მან. 93 კაბ. სულ 435 მან. 02 კაბ.

წერეთლის, მარიამ ბერის ასულის: თბილისის ქუჩაზე ორ ეტაჟიანი სახლი, და მიწა, 398 კვადრ. საყ.; თავნი ვალი 5,085 მან. 66 კაბ.; შესავს. გადასახ. 604 მან. 14 კაბ. სულ 5,689 მან. 80 კაბ.

გაბაძის, რომანოზ ნიკოლოზისძის: დენერლის ქუჩის შესახვევში ერთ ეტაჟიანი ხის სახლი, და მიწა, 243 კვადრ. საყ.; თავნი ვალი 1,017 მან. 12 კაბ., შესავს. გადასახ. 276 მან. 51 კაბ. სულ 1,293 მან. 63 კაბ.

ჩარქავის: ანტონ პავლესძის, და მეუღლისა მისისა ეკატერინე ანტონის ასულისა: ფრანგების ქუჩაზე ერთ ეტაჟიანი ხის სახლი, და მიწა, 497 კვადრ. საყ.; თავნი ვალი 1,949 მან. 52 კაბ., შესავს. გადასახ. 408 მან. 32 კაბ. სულ 2,357 მან. 84 კაბ.

ჩიკვაშვილის, ისხა ქობინის: ბაზრის ქუჩაზე ერთ ეტაჟიანი ქვიტკირის ლუქანი და მიწა, 10,8 კვადრ. საყ.; თავნი ვალი 4,238 მან. 02 კაბ., შესავს. გადასახ. 489 მან. 57 კაბ. სულ 4,727 მან. 59 კაბ.

შაშვილთა: ისხა და შალომა აბრამისძეთა: ბაზრის ქუჩაზე ერთ ეტაჟიანი ქვიტკირის სახლი და მიწა, 8 კვადრ. საყ.; 5 კვადრ. ალაბი; თავნი ვალი 3,559 მან. 94 კაბ., შესავს. 380 მან. 52 კაბ. სულ 3,940 მან. 46 კაბ.

მათივე და შამლიკაშვილისა, შილხა ჭაზარასძის: ბაზრის ქუჩაზე ერთ ეტაჟიანი ქვიტკირის ლუქანი, და მიწა, 5 კვადრ. საყ. 5 კვადრ. ალაბი; თავნი ვალი 3,559 მან. 94 კაბ., შესავს. გადასახ. 430 მან. 99 კაბ. სულ 3,990 მან. 93 კაბ.

ბლანტინის, თეკლე შაბრიელის ასულის: ლევანოვის ქუჩაზე ორი ერთ ეტაჟიანი სახლი ქვიტკირისა და ხისა, მიწით, 120 კვადრ. საყ.; თავნი ვალი 606 მან. 68 კაბ. შესავს. გადასახ. 132 მან. 23 კაბ. სულ 738 სულ მან. 91 კაბ.

ბუნიაშვილისა ანა იაკობისძის, შალომა, მიხაილ და რაფაელ სხაიისძეთა: ბაზრის ქუჩაზე ერთ ეტაჟიანი ქვიტკირის ლუქანი და მიწა, 10 კვადრ. საყ. 5 კვადრ. ალაბი; თავნი ვალი 3,466 მან. 48 კაბ., შესავს. გადასახ. 442 მან. 66 კაბ. სულ 3,909 მან. 14 კაბ.

გაბაშვილისა ბესარიონ ალექსისძის: ორპირის ქუჩაზე ერთ ეტაჟიანი ქვიტკირის ლუქანი და მიწა, 72 კვადრ. საყ.; თავნი ვალი 2,599 მან. 85 კაბ., შესავს. გადასახ. 204 მან. 02 კაბ. სულ 2,803 მან. 87 კაბ.

ქორქაშვილის, მარიამ მათეს ასულის: გვერუთის ქუჩაზე ერთ ეტაჟიანი ქვიტკირის სახლი და მიწა, 887 კვადრ. საყ.; თავნი ვალი 3,466 მან. 48 კაბ., შესავს. გადასახ. 291 მან. 43 კაბ. სულ 3,757 მან. 91 კაბ.

ლოთქიფანიძის, ანტონ ნიკოლოზისძის: ორპირის ქუჩაზე ორ ეტაჟიანი ქვიტკირის სახლი და მიწა, 190 კვადრ. საყ.; თავნი ვალი 12,205 მან. 34 კაბ., შესავს. გადასახ. 1,385 მან. 13 კაბ. სულ 13,590 მან. 47 კაბ.

დენეგვის, მლადიმირ ანტონისძის, ივანე პოლკოვნიკისა: თბილისის ქუჩაზე ორი ორ ეტაჟიანი სახლი და მიწა, 262 კვადრ. საყ.; თავნი ვალი 12,999 მან. 17 კაბ., შესავს. გადასახ. 957 მან. 54 კაბ. სულ 13,956 მან. 71 კაბ.

მოსეშვილის, ალექსი იესესძის: ლაზარეთის ქუჩაზე ერთ ეტაჟიანი ქვიტკირის სახლი და მიწა, 103 კვადრ. საყ.; თავნი ვალი 693 მან. 31 კაბ., შესავს. გადასახ. 43 მან. 67 კაბ. სულ 736 მან. 98 კაბ.

მეკვიდრეთა რიყინაშვილისა, მლო იაკობისძის: ბაზრის ქუჩაზე ორ ეტაჟიანი ქვიტკირის ლუქანი და მიწა, 14 კვადრ. საყ.; თავნი ვალი 3,639 მან. 69 კაბ., შესავს. გადასახ. 356 მან. 72 კაბ. სულ 3,996 მან. 41 კაბ.

თავდიშვილის, აბრამ მარაბასძის: ბაზრის ქუჩაზე ერთ ეტაჟიანი ქვიტკირის ლუქანი და მიწა, 6 კვადრ. საყ.; 4 კვადრ. ალაბი; თავნი ვალი 1,386 მან. 60 კაბ., შესავს. გადასახ. 137 მან. 49 კაბ. სულ 1,524 მან. 09 კაბ.

ადამიძის, პეტრე წყალობასძის და შვიშვილისა, ბიორგი იაკობისძის: გვერუთის ქუჩაზე ერთ ეტაჟიანი ხის სახლი და მიწა, 2,193 კვადრ. საყ.; თავნი ვალი 606 მან. 62 კაბ., შესავს. გადასახ. 87 მან. 75 კაბ. სულ 694 მან. 37 კაბ.

ელიგულაშვილის, აბრამ მოწასძის, და შინაძისა შალვა მამაჯანისძის: ბაზრის ქუჩაზე ორ ეტაჟიანი ქვიტკირის ლუქანი და მიწა, 16 კვადრ. საყ.; 8 კვადრ. ალაბი; თავნი ვალი 6,846 მან. 26 კაბ., შესავს. გადასახ. 146 მან. 59 კაბ. სულ 7,492 მან. 85 კაბ.

აჩუნოვის, მღენე ნაზარეს ასულის: ბაგარინის ქუჩაზე ორ ეტაჟიანი სახლი და მიწა, 681/2 კვადრ. საყ.; თავნი ვალი 1770 მან. 15 კაბ., შესავს. გადასახ. 148 მან. 92 კაბ. სულ 1919 მან. 07 კაბ.

აქოვის, სოლომონ პეტრეს ძის: ფრანგების ქუჩაზე ორ ეტაჟიანი სახლი და მიწა, 50 კვადრ. საყ.; თავნი ვალი 1069 მან. 23 კაბ., შესავს. გადასახადი 156 მან. 61 კაბ. სულ 1225 მ. 84 კაბ.

აფხაძის, პავლე თედორეს ძის: ბალახენის ქუჩაზე ერთ-ეტაჟიანი ქვიტკირის ლუქანი და მიწა, 125 კვადრ. საყ.; თავნი ვალი 1327 მან. 56 კაბ. შესავს. გადასახ. 166 მან. 95 კაბ. სულ 1494 მან. 51 კაბ.

გაბაშვილისა, ბესარიონ ალექსის ძის: გორქოშეთის ქუჩაზე ორი ქვიტკირის სახლი და მიწა, 300 კვადრ. საყ.; თავნი ვალი 3186 მან. 22 კაბ., შესავს. გადასახ. 202 მან. 40 კაბ. სულ 3388 მან. 62 კაბ.

ზუზაშვილის, ქონსტანტინე ანტონის ასულის: მიხაილის ქუჩაზე ერთ ეტაჟიანი ქვიტკირის ლუქანი და მიწა, 851/2 კვადრ. საყ.; თავნი ვალი 5,346 მ. 18 კაბ., შესავს. გადასახადი 380 მ. 64 კაბ. სულ 5,726 მან. 82 კაბ.

